საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვანო სარაჯიშვილის
სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge;

KA000077336085825

№ 02-12-R **13 / მარტი / 2025 წ.**

ბრძანება

,,სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის მიერ შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის ნორმების დამდგენი აქტების მოთხოვნათა დარღვევის შესწავლისა და სათანადო ღონისძიებათა გატარებისათვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის 2022 წლის 21 ივნისის No 02-13-R ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" "ნ" და "ო" ქვეპუნქტების, მე-9 პუნქტის, წარმომადგენლობითი საბჭოს 29.04.2022 წლის #16/2022 დადგენილებით დამტკიცებული კონსერვატორიის ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის, კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის 28.02.2025 წლის #87 მოხსენებითი ბარათის, კონსერვატორიის სტუდენტური გაერთიანების თავმჯდომარის ელენე ელიოზიშვილის 04.03.2025 წლის #224/22 მოხსენებითი ბარათის (თანდართულია სალომე სტროგანოვას თანხმობის წერილი, 27.02.2025 წ.), დავით ჯიშკარიანის 12.03. 2025 წლის #281/22, მანანა ქანთარიას 13.03.2025 წლის #284/22 თანხმობის წერილებისა და აკადემიური საბჭოს 14.02.2025 წ. #01 სხდომის ოქმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ,,სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის მიერ შრომის დისციპლინის დაცვისა და ეთიკის ნორმების დამდგენი აქტების მოთხოვნათა დარღვევის შესწავლისა და სათანადო ღონისძიებათა გატარებისათვის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორის 2022 წლის 21 ივნისის No 02-13- R ბრძანებაში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით: ,,დამტკიცდეს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პერსონალის მიერ შრომის დისციპლინისა და ეთიკის ნორმების დარღვევის შემსწავლელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან ბოლაშვილი - კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრი, პროფესორი;

ბ) ნათია ქავთარაძე - კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერი, ასოცირებული პროფესორი;

გ) დავით ჯიშკარიანი - კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავების მიმართულების ხელმძღვანელი და ამავე მიმართულების კოორდინატორი, პროფესორი;

დ) მანანა ქანთარია - კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტის კამერული ანსამბლისა და კვარტეტის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

ე) სალომე სტროგანოვა - კონსერვატორიის თვითმმართველობის- სტუდენტური გაერთიანების წევრი.

2. დანარჩენ ნაწილში ბრძანება დარჩეს უცვლელი.

3. ბრძანება გასაცნობად გადაეცეს კომისიის წევრებს და განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge;

4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი	ხელმოწერილია/ შტამპადასმულია ელექტრონულად	გიორგი ვაჩნაძე